

სს „საქართველოს რკინიგზის“
დირექტორთა საბჭოს
დადგენილება

№1/28 2018 წლის 26 ივლისი ქ. თბილისი

სს „საქართველოს რკინიგზის“ მისასვლელი ლიანდაგის მფლობელთა/მოსარგებლეთათვის ახალი მომსახურების შემოღებისა და მისი საფასურის დადგენის შესახებ.

1. ცნობად იქნას მიღებული, სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ 2018 წლის 18 ივლისის №34166 მოხსენებითი ბარათი.

2. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, სს „საქართველოს რკინიგზის“ მისასვლელი ლიანდაგის მფლობელთა/მოსარგებლეთათვის ახალი მომსახურების შემოღება და მომსახურების საფასურის დადგენა.

3. დამტკიცდეს „სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის/მოსარგებლის მოთხოვნით შესრულებული სამუშაოების წარმოებისა და მომსახურების საფასურის გადახდის პროცედურები“ დანართი N1-ის შესაბამისად (თან ერთვის).

4. სს „საქართველოს რკინიგზის „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“-ს მუხლი VIII. „დამატებითი საფასურები“-ში დაემატოს მე-19 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის/მოსარგებლის დაკვეთით შესრულებული სამუშაოების წარმოებისა და მომსახურების საფასური:“ დანართი N2-ის მიხედვით.

5. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის შეთანხმებების გაფორმება სამ სუბიექტს: სს „საქართველოს რკინიგზა“-ს, მისასვლელი ლიანდაგის მფლობელს და კონტრაქტს შორის და შეთანხმების ვადად განისაზღვროს შეთანხმების გაფორმებიდან მიმდინარე კალენდარული წლის ბოლომდე, მაგრამ არაუგვიანეს რკინიგზასა და მისასვლელი ლიანდაგის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დასრულების თარიღისა.

6. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტს 2018 წლის 18 ივლისის №34166 მოხსენებითი ბარათისა და წინამდებარე დადგენილების მე-4 პუნქტის

გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის ექსლპუატაციის ხელშეკრულებებში.

7. წინამდებარე დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული „სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მფლობელის/მოსარგებლის მოთხოვნით შესრულებული სამუშაოების წარმოებისა და მომსახურების საფასურის გადახდის პროცედურები“ შესათანხმებლად გადაეგზავნოს სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს.

8. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ დირექტორის მოადგილემ ოპერაციული მართვის მიმართულებით-სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის უფროსმა (კ.გუდიაშვილი).

დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე



დ.ფერაძე